„უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაციას“ (უსმა/USMA) და დაცვის კომპანია შპს „მაგისტრს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა!

მიმდინარე წლის 8 ივლისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაცია "უსმა/USMA"–სა და დაცვის კომპანია შპს "მაგისტრს" შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს ასოციაციის თავმჯდომარემ ბესიკ ობოლაძემ და შპს „მაგისტრი“-ს დირექტორმა თორნიკე ჯოჯუამ.

მემორანდუმის მიზანია სხვადასხვა კვლევითი პროექტების ერთობლივად განხორციელება საზოგადოებრივი უსაფრთხოების აქტუალურ თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებთან მიმართებაში;